№ 87 **სახალხო გაზეთი** № 87

პარასკევი, 20 აგვისტო, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა წელიწადი პირველი

ამ წლის 7 მაისიდან გამოდის
ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო
**სახალხო გაზეთი**
ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული
**სურათებიანი დამატება**
გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.
ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური
დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.
ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.
****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****
კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.
„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.
წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

22 აგვისტოს, გარდაცვალების მეორმოცე დღეს, მცხეთის საკრებულო ტაძარში გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის

**პაატა მალხაზის მე გედევანიშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, მეუღლე გარდაცვალებულისა დარია ივანეს ასული გედევანიშვილისა შვილებით, ძმა ალექსანდრე მალხაზის ძე გედევანიშვილი, რძალი ანასტასია იოსების ასული, დები: ოლღა კობიაშვილისა, სალომე ანდრონიკაშვილისა და მარიამ აბალიშვილისა. (1—395—1)

ევა დიმიტრის ასული, ზაქარია დიმიტრის ძე და მაგდანი ისაკის ასული ჩხუბიანაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი პირველის ძვირფას ქმრის, მეორე—ძმის და მესამე მაზლის

**ივანე დიმიტრის მე ჩხუბიანაშვილის**

სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქნება ქ. თელავში შაბათს 21 აგვისტოს, წირვა ღვთაების ეკლესიაში, ხოლო პანაშვიდი—განსვენებულის საფლავზე, (1—ფ.—1)



**ქართული საზაფხულო თეატრი**
პარასკევს, 20 აგვისტოს,
ექვსი საინტერესო წყვილი
**ი ჭ ი დ ა ვ ე ბ ს:**
1. გადამწყვეტი ჭიდაობა პეტერსონისა და ყოფილი წითელ-ნალაბიანთან. 2. ჭიდაობა წაქცევამდე მიხელ მაერისა აპოლონთან.
ოთხი კავკასიური ჭიდაობა:
3. ჯიბგირი დაეჭიდება შავ ნიღაბიანს. 4. ქურხული იანოშ ნაჯის. 5. გელაშვილი კალკაუს. 6. თუშა ყირიმელი რეიბერს.
ჭიდაობის დაწყებამდე სინემატოგრაფის სეანსები,
ბაღში შესასვლელი ფასი 20 კაპ.
ადგილების ფასი ყველასათვის ხელმისაწვდომია.

**კვირას, 5 სექტემბერს**
დღის 11½ საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში
მოხდება პირველი საზოგადო კრება ახლად მთავრობის მიერ ნება დართულ
**„ქართველ მომღერალთა საზოგადოება სანთურისა."**
განსახილველია:
1. გაცნობა საზოგადოების წესდებისა;
2. ახალ წევრების მიღება;
3. საზოგადოების გამგეობის არჩევა. (5—1)

**ტფილისის კერძო სამკურნალო**
30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მცხიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყოველ დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. ცუ. ქალ. ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
**გორბოვსკი-ზარანეკი ე. გ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.
**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
**მაღლაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და ხას. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.
**ფირადოვი რ. ზ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი გ. ა.** ქურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე გარდა პარას. 8—9-ნახ. ს.
**ხანთალევსკი გ. გ.** ქირურ,. ყოვ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, მონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—5.—257)

**ქ. ქუთაისში**
თ. მთავრიშვილისა და ამხანაგობის
**წიგნის მაღაზიაში**
დამზადებულია დიდ-ძალი ქართული და რუსული
სახელმძღვანელო წიგნები.
სახალხო სასწავლებლებს, სახალხო ბიბლიოთეკებს და პროვინციის წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 10 პროცენტი. ყდაზე გადახდებათ თითო შაური.
ვინც ფასდადებით გამოიწერს, მან ბე უნდა გამოგზავნოს. აქვე იმყოფება უმთავრესი საწყობი შემდეგი წიგნებისა:

| | | |
|---|---|---|
| 1. | გუთანი, ოჯახსა და სკოლაში საკითხავი წიგნი, შედგენილი ქუთ. ქართულ გიმნაზიის მასწავლებლების მიერ. | ფასი 80 კ. |
| 2. | ქართული გრამატიკა ს. ხუნდაძისა, | „ 50 „ |
| 3. | ქართული წერის დედანი, ს. დათეშიძისა, | „ 20 „ |
| 3. | ბატონ-ყმობა საქართველოში, ალ. ხახანაშვილისა, | „ 50 „ |
| 5. | საქართველოს ისტორია ს. ქვარიანისა, | „ 25 „ |
| 6. | ელისო, მოთხრობა ალ. ყაზბეგისა, | „ 10 „ |
| 7. | დედა-ენის ზოგიერთი სიტყვების განმარტება, პ. ქარაიასი. | „ 15 „ |

(25—5.—4)

**წიგნის გამომცემელი ამხანაგობა**
**„ა ლ ი ო ნ ი"**
ამით აცნობებს, რომ წიგნებზე ხელის მოწერა ჩვენდა დამოუკიდებელ მიზეზების გამო გაგრძელდება პირველ სექტემბრამდე. წიგნების გამოცემა უზრუნველყოფილია.
(0—5.—8) ამხანაგობა „ალიონის" გამგე ვ. გადილია.

**განცხადება**
**ქუთაისის ქალაქის გამგეობა**
**ამით აცხადებს საღორიის, საფიჩხიის და პახიანურის**
**გაუშენებელ ქალაქის ადგილების მოიჯარადრეთა საყურადღებოთ,**
რომ ვისაც გამგეობაში ადრესის უქონლობისა გამო არ ჩაუბარებია უწყება და ანგარიში მასზე დარჩენილი ძველ საიჯარო გადასახადებისა, მოვალეა მობრძანდეს გამგეობის კანცელარიაში ცნობების მისაღებათ ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით.
ვინც 31 აგვისტომდის არ გაასწორებს ანგარიშს,
თანახმად 14 ივნისის 1910 წლის საბჭოს დადგენილებისა, ჰკარგავს საიჯარო უფლებას:
მისგან აღებული ადგილი გადაეცემა
სხვა პირს ხელ ახალი ვაჭრობით,
ხოლო ძველი მოიჯარადრის წინააღმდეგ მიღებული იქნება კანონიერი ზომები დარჩენილ ვალის გადასახდევინებლად. (1—5.—1)

**ს უ რ ა მ ი**
გ. ი. მუატის სახლში, შაბათს, 21 აგვისტოს გაიმართება
**თამარ ძნელაძის**
**კონცერტი**
პეტერბურგის ახალ თეატრის მსახიობის რ. ვ. ჩაიკოვსკაიას მონაწილეობით (დეკლამაცია და სიმღერა (რომანსები).
ქ-ნი ჩაიკოვსკაია წაიკითხავს ნ. მ. გაბუნია ცაგარლის ხსოვნის საპატივსაცემლო ლექსს. ადგილების ფასი 2 მ.—40 კ.
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. (2—1)

**ქუთაისის ქალაქის თეატრი**
კვირას, 22 აგვისტოს გაიმართება
**თამარ ძნელაძის**
**კონცერტი**
პეტერბურგის ახალი თეატრის მსახიობი რ. ვ. ჩაიკოვსკაიას მონაწილეობით დეკლამაცია და სიმღერა (რომანსები).
ქ-ნი ჩაიკოვსკაია წაიკითხავს ნ. მ. გაბუნია ცაგარლის ხსოვნის საპატივსაცემლო ლექსს. ბილეთები იყიდება.
დასაწყისი საღამოს 9 ს. (3—1)

გამოცემა მიხ. კალანდაძისა ქ. ბათუმში
**მიიღება ხელის მოწერა**
**5 აგვისტოდან 5 ოქტომბრამდე**
**დავით კლდიაშვილის**
**სრულ თხზულებაზე**
(ავტორის სურათით).
თხზულება დაიბეჭდება კარგ ქაღალდზე ორ ტომად, თითო ტომი 320 გვერდამდე; დართული ექნება ბ.ბ. **იგ. გომართელის და კიტა აბაშიძის** კრიტიკული წერილი. ხელის მომწერთათვის ორივე ტომი ეღირება **ექვსი აბაზი**
5 ოქტომბრიდან ხელის მოწერა შესწყდება როგორც ბათუმში, ისე ყველგან. წიგნის ბეჭდვას შევუდგებით 15 ოქტომბრიდან და დაურიგდებათ ხელის მომწერთ მომავალი წლის იანვრის დამლევს.
ცალკე გასაყიდათ წიგნი არ დაიბეჭდება
აგენტებს ვსთხოვ ფული გზავნონ შემდეგი ადრესით: Батумъ, Директору Бат. О-ва Взаимнаго Кредита, Симону Гургеновичу Мдивани.
უბრალო წერილები უნდა იგზავნებოდეს ამ ადრესით: Батумъ, Бр. Мгеладзе для М. Каландадзе. (15—11)

ჭიათურის ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა
**აცხადებს**
რომ სურს მსახიობი ქალი—გამოცდილი—სცენისათვის მთელის წლის განმავლობაში, წლიური ჯამაგირი 600 მანეთი და სრული ბენეფისი. მსურველმა უნდა მიმართოს თხოვნით, შეიძლება გამოგზავნა ფოსტით, ჭიათურა, გამგეობა ქართ. დრამ. საზოგადოებისა.
ამასთანავე სთხოვს წევრთა შემოიტანონ საწევრო ფული 1909 წლისა. წლიური კრება დანიშნულია 19 სექტემბერს. (3—3)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.
იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. გერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79 (0—5.—128).

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5½—6½ საათამდის კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი** ი. ვაშაკიძე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—198

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** გაბ. ი. გოკიელოვი
ქუთაისში
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა. ელექტრო-ტერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—5.—48)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე
იზმაილოვზე N 2. **გადავიდა** ვის ქუჩაიღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**ექიმი** გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ზალ.—13)

**ექიმი** მ. ს. არჯევანიძე
ქუთაისში.
იღებს ავადმყოფებს: შინაგან, ქალთა სნეულებ. აგრეთვე საბებიოდ. დილის 9—12 ს. საღამოს 6—7 საათ. გარდა კვირა-უქმე დღეებისა. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოკიელოვისა. (25—33.—24)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი
იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გიროჩნის ქ., № 9. (უ)

**შპალიერი**
8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რული
**ძმ. ტარნოპოლების**
საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქშია.
განყოფილება ტფილისში: გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355
ფასები საფაბრიკოა.
ნიმუშები უფასოდ. (50—1046—48)

**დეპეშები**
პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან,
19 აგვისტო.
**საზღვარ-გარედ**

**ბუენოს-აირესი.** რესპუბლიკის პრეზიდენტის მინისტრების და მრავალ სტუმართა თანდასწრებით 17 აგვისტოს დაიხურა პანამერიკული კონგრესი. გარეშე საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ უნდა დაცულ იქმნას მშვიდობიანობა და საკითხები გადასაწყვეტად უნდა მიჰმართონ სამედიატორო სასამართლოებს. მინისტრის სიტყვით, საჭიროა პატივით მოვეპყრათ ყველა რესპუბლიკათა ებლებეკს. შეიარაღებულ ძალას უნდა მივმართოთ მხოლოდ იმიტომ, რომ ხელი შევუწყოთ სამართლიანობის გამარჯვებას.

**თეირანი.** ქალაქში გავრცელდა ნეჯეფის მუშტეიდების დეპეშა, რომლითაც ჰკიცხავენ მთავრობის მთავრობას და უკრძალავენ გადასახადების მიცემას. ძლიერდება უკმაყოფილება ბახტიარებისა სარდარ-არადისადმი, რომელიც აშკარად მიისწრაფვის დიქტატორებისა და რეგენტობისკენ. ეფრემი და სარდარ-ასადი იწვევენ ვაჭრებისა და სამღვდელო პირთა კრებას და თხოულობენ მოიწონონ მთავრობის მოქმედება. მიუხედავად სარდარა-ასადის ბაქრბუქურ დეპეშისა რაშიდ-ულ სალტანეს მკვიდრი პოზიცია უჭირავს.

გარეშე საქმეთა სამინისტრომ რუსეთის მისიაში პროტესტი განაცხადა თავრიზის გზაზე ავტომობილების მიმოსვლის შემოღების წინააღმდეგ. თეირანის პრესა მხარს უჭერს ამ პროტესტს და აცხადებს, რომ რუსეთსა სურს ხელში ჩაიგდოს სპარსეთის გზები და მიმოსვლის საშუალებანიო.

**ბილბაო.** მუშათა კავშირებმა დაიწყეს საერთო გაფიცვა.

**ლონდონი.** გაზეთების სიტყვით არმსტრონგის ფირმამ ელსვიკიდან გაგზავნა ოსმალეთში იარაღი და სამხედრო სურსათი კრეისერ „აბდულ ჰამიდისა" და „ერტა გრუნის" ახალი იარაღით შესაიარაღებლად.

**ცეტინიე.** ქალაქის გუშინდელ ნადიმს დაესწრო 500 სტუმარი. მთები გაჩირაღდნებული იყო. მოხდა პარადი ჯარებისა. მეფე და დიდი მთავარი პეტრე ნიკოლოზის ძე ცხენზე ისხდნენ და ისე ათვალიერებდნენ ჯარს.

**რომი.** ერთ დღეში ხოლერით ავად გახდა აპულიას სხვა და სხვა ადგილებში 14, გარდაიცვალა 15.

**პეკინი.** ყოველ დღე იმართება მთავრობისა და პეკინში ჩამოსულ ვიცე-კოროლების შორის თათბირი. თათბირობენ იუანშიკაის მთავრობას სამსახურში დაბრუნების განზრახვის შესახებ. ვიცე-კოროლი სხილიანოკი დაბეჯითებით ურჩევს მოახდინონ რეფორმები საზოგადო გამგებლობისა და აგრეთვე შინაურ და გარეშე პოლიტიკაში. მოსალოდნელია თვალსაჩინოთ შეიცვალოს მთავრობის დღევანდელი შემადგენლობა თანამდებობის პირთა. სახელმწიფოს საქმეები ფაქტიურად შეჩერებულია.

**ჰაერში ფრენა.**

**პეტერბურგი.** კაპიტანი ულიანინი გატჩინის აეროდრომიდან რუსული კონსტრუქციის ბიპლან „როსსია"-ზე 25 მეტრის სიმაღლეზე აფრინდა და ჰაერში 7 წუთი დაჰყო. იმავე აპარატზე ავიატორი ლებედევი ორჯერ აფრინდა და ხუთ-ხუთი წუთი დაჰყო, პორუჩიკ მარტიევიჩმა რუსული კონსტრუქციის მონოპლანზე 5 წუთი იფრინა.

**რ უ ს ე თ ი**

**ხარკოვი.** ძლიერმა ნიაღვარმა ბელგოროდსა და ხარკოვს შუა წალეკა რკინის გზის ლიანდაგი 150 საჟენის სიგრძეზე. მოძრაობა შესწყდა, მატარებლები შეჩერებულ იქმნა.

**ბაქო.** მოსაზღვრე პოსტ კაკამის ახლოს სპარსელ კონტრაბანდისტებსა და მოსაზღვრე რაზმს შორის სროლა ასტყდა. კონტრაბანდისტებს დაატოვებინა საქონლის ჯო-

გი, რომელსაც ისინი სპარსეთისკენ მიერეკოდენ

**იალტა.** იწვის ტყე ალუპკიდან სიმეირამდე. გენერალი დუმბაძე ცეცხლ მოდებულ რაიონისაკენ მიდის.

**ალექსანდროვსკ - გრუშევსკი.** სოლინოვის ქარხნის ანტრაციტის მაღაროებში ასაფეთქებელმა გაზმა იფეთქა. დაშავდა ორი მუშა.

**ხარკოვი.** ძლიერმა ნიაღვარმა და სეტყვამ მაზრაში ბაღჩები და ბაღები დააზიანა და დაბლობებში გლეხთა შენობები წალეკა. სამი კაცი დაიღრჩო.

**მოსკოვი.** 26 აგვისტოდან 8 სექტემბრამდე ზოოლოგიურ ბაღში მებაღეობის, მეხილეობის და მეღვინეობის გამოფენა იხსნება. მოვიდა მთავარი გამგე მიწათ-მოქმედებისა.

19 აგვისტოს გაიხსნა სტაროობრიადცების კრება გადასახადების საკითხის გამოსარკვევად.

**ეკატერინოდარი.** სამხედრო-საოლქო სასამართლოში დაიწყო 9 ანარქისტის საქმის გარჩევა, რომელთაც 1906 და 1907 წ. ტემრიუკის მაზრაში რამდენიმე ბოროტმოქმედება ჩაიდინეს.

**ყაზანი.** საოლქო სამხედრო სასამართლოში დაიწყო უნივერსიტეტის, ფსიხიატრიულ საავადმყოფოს და სავინის მაღაზიის გაძარცვის საქმის გარჩევა. ბრალს სდებენ 19 კაცს, მათ შორის ვეტერინარ ნიკოლაევს, რომელმაც ჩუვაშების აჯანყება გამოიწვია და რომელიც მოსკოვში დაატუსაღეს.

**ხერსონი.** გუშინ საღამოს ათს საათზე რუსეთის საზოგადოების ორთქმავალი „პროვორნი“ დაეჯახა ბროდსკის ელევატორს, რომელმაც მაშინვე ჩასძირა. ელევატორის მოსამსახურეები 14 კაცი გადაარჩინა მეთევზეებმა. ორთქმავალმა განაგრძო მსვლელობა ნიკოლაევისაკენ.

**შ ა ვ ი ჭ ი რ ი.**

**ოდესსა.** შავი ჭირის წინაამდეგ მებრძოლმა ბიურომ დაადგინა მიჰმართოს მცხოვრებლებს მოწოდებით, რომელშიც უნდა აღინიშნოს, რომ მიღებულია ენერგიული ზომები და მოწვეულია მცოდნე პირები ეპიდემიასთან საბრძოლველად. გადაწყვეტილია მოაწყონ პოპულიარული ლექციები შავი ჭირის შესახებ.

**ხ ო ლ ე რ ა**

**ტულა.** შესდგა სხდომა გუბერნიის სანიტარულ-აღმასრულებელ კომისიისა უწყებათა და ქალაქთა წარმომადგენლების მონაწილეობით. აღმოჩნდა რომ ხოლერით 35 სოფელია მოდებული. უკანასკნელ დროს ეპიდემია თან და თან კლებულობს. გადასწყვიტეს მიიღონ სხვა და სხვა ზომები; სხვათა შორის გააძლიერონ მედიკურ-სანიტარული ორგანიზაცია ნოვოსილის მაზრაში, სადაც ავადმყოფობა ყველაზე მეტად მძვინვარებს.

**პეტერბურგი.** დღე და ღამის განმავლობაში სატახტო ქალაქში ხოლერით 62 კაცი გახდა ავად, გარდაიცვალა 22, საავადმყოფოებშია 683.

**პეტერბურგი.** სააგენტომ მიიღო შემდეგი ცნობები ხოლერის მოძრაობის შესახებ: ერთს კვირაში ნიკოლაევის საგრადონაჩალნიკოში ავად გახდა 34, მოკვდა 12; პერმში ავად გახდა 8, მოკვდა 1; გუბერნიის საერობო სამმართველომ 20,000 მან. გადსდო ხოლერასთან საბრძოლველად. არხანგელის გუბერნიაში ავად გახდა ორი მუშა. ელიზავეტოპოლის გუბერნიის ყაზახის მაზრაში ერთი მოკვდა. დღე და ღამის განმავლობაში მოსკოვში 5 კაცი გარდაიცვალა.

## ახალი ამბები

**ტ ფ ი ლ ი ს ი**

✦ **ხოლერიანთა რიცხვი.** სანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 18 აგვისტოს დილის 9 საათიდან 19 აგვისტოს დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა მხოლოდ ერთი კაცი, ხოლერის ნიშნებით—1. ხოლერიანთა სამკურნალოში იყო—19 ავადმყოფი, მოემატა—1, გარდაიცვალა—3, დარჩა—17.

✦ **მშობელთა წრეებში.** მშობელთა წრეების ზოგიერთ წევრთ განზრახვა აქვთ აღძრან საკითხი იმის შესახებ, რომ ტფ. სასწავლებლებში სწავლა პირველ სექტემბერს არ დაიწყოს, თუ იმ დრომდე ხოლერა ტფილისში სრულიად არ მოისპობა.

✦ **პოლიცმეისტრის დაბრუნება.** ორის თვის დასვენების შემდეგ უკვე დაბრუნდა ტფილისში და შეუდგა თავის თანამდებობის აღსრულებას ტფ. პოლიცმეისტერი პოდპოლკოვნიკი ზასიპკინი.

✦ **ზომები შავი ჭირის წინააღმდეგ სოხუმში.** როგორც უეპეშათა სააგენტო იუწყება კავკასიის სამედიცინო ნაწილის გამგის თავმჯდომარეობით სოხუმში შემდგარა სხდომა შავი ჭირის წინააღმდეგ ზომების მისაღებად. საჭიროდ უცვნიათ ყველა იმ გემებს, რომელნიც შავი ჭირით დაავადებულ პუნქტებიდან მოდიან მისთხოვონ მოწმობა, რომ მათ ვირ-თაგვები არ მოჰყოლიათ.

✦ **ხოლერა.** პოლიციის ცნობით, 18 აგვისტოს ტფილისში ხოლერის ნიშნებით ავად გახდა და ხოლერიანთა სამკურნალოში გაგზავნეს სამი კაცი. მათი გვარები: 1) ათანასე კონოვჩენკო, 2) ალექსანდრა მამაროვისა და 3) მართა სუხარკოვისა. ავადმყოფთა ბინებს დეზინფექცია გაუკეთეს.

✦ **პროფ. მარრის მოსვლა.** ამ დღეებში ტფილისში მოელიან პროფესორ მარრის, რომელიც მთელს ზაფხულს ანში იყო, მარსანში აღმოუჩენია რამდენიმე სიძველე, რომელიც ძვირფასი განძად უნდა ჩაითვალოს სომეხ-ქართველთა ისტორიისათვის.

✦ **დეპუტატის გამგზავრება.** დღეს, 20 აგვისტოს პეტერბურგს მიემგზავრება მესამე სახელმწიფოს დეპუტატი კარლო ჩხეიძე.

✦ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ სოფ. ქვემო ჭალიდან მოწერილ კორესპონდენციაში (იხ „სახ. გაზ.“ № 64) ბ. მეთვალყურეს შეცდომით მოუხსენებია თავ. გახტანგ ამილახვარი; ნამდვილად მოხუცი მღვდლის გალახვაში მონაწილეობა მიუღიათ მხოლოდ სტუდენტს ქაიხოსრო გრიგოლის ძე და მოსწავლეს ლევან გრიგოლის ძეს ამილახვართ და მათ ამხანაგებს გიორგი კობალაძეს და მიშა დოდაძეს.

✦ 18 აგვისტოს საერთო ჩხრეკის დროს პოლიციის სხვა და სხვა უბანში პოლიციამ შეიპყრო 23 უპასპორტო.

## ნატო მ. გაბუნია-ცაგარლის დასაფლავება

ხუთშაბათს, 19 აგვისტოს, მსახიობ ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის დასაფლავების დღეს დილის 8 საათიდანვე იწყო აუარებელმა ხალხმა დენა წმ. ნიკოლოზის ეკლესიისკენ, სადაც განსვენებულის ცხედარი ესვენა. მწირველი იყო არქიმანდრიტი ანტონი ქალაქის სამღვდელოების თანადახმარებით. წირვა პანაშვიდის გადახდის შემდეგ ცხედარი თორმეტის ნახევარზე ამხანაგ-მსახიობებმა გამოასვენეს ეკლესიიდან. ეკლესიის გალავანში და ქუჩებში ტევა აღარ იყო. პროცესია გაემართა გოლოვინის პროსპექტით. გზა და გზა ხალხი მრავლად ემატებოდა. სახაზინო თეატრის წინ პროცესია შეჩერდა და პანაშვიდი გადაიხადეს, არტისტულ საზოგადოების თეატრის წინ, შემდეგ კი მიცვალებული ქართულ თეატრის წინ სასახლის ქუჩაზე დაასვენეს. სათავად-აზნაურო შენობის შესავალში გამოკიდული იყო განსვენებულის სურათი შავი ძაძით შემოსილი. აქ მოკლე, მაგრამ მეტად გრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა ვლ. აღნიაშვილმა-მესხიშვილმა, მან აღნიშნა ქართული თეატრის საგრძნობელი დანაკლისი და თვალ ცრემლიანმა აერთოლებულის ხმით შესძახა: ჩემო ნატო, რისთვის დაგვიობლე ვასო აბაშიძეო. და საზოგადოებაში ალაგ-ალაგ ისტერიული კივილი გაისმა. აქედან პროცესიამ გაიარა პუშკინის, მიხეილის, რეუტოვისა და ავჭალის ქუჩებზე, აქ ანტონის ქუჩის შესახვევში კიდევ გადაიხადეს მცირე პანაშვიდი და შემდეგ წმ. ნინოს სასაფლაოსკენ გაემართნენ. იქ უკვე ბლომად შეკრებილიყო ხალხი, ისე რომ სასაფლაოზე თითქმის ტევა აღარ იყო. სასაფლაოზე მოკლე სიტყვები წარმოსთქვეს, მღვდელმა ვ. კარბელაშვილმა, სახალხო თეატრის მუშების მხრით მუშამ გაჩეჩილაძემ, სომხურ თეატრის და პრესის სახელით მსახიობმა გედევანოვმა, სურამის დრამატიულ საზოგადოების სახელით ი. შალიბაშვილმა, მსახიობებმა ი. იმედაშვილმა და ივანიძემ, ქიათურის დრამატიულ საზოგადოების სახელით ს. ტარუაშვილმა და სხვ. მგრძნობიარე იყო ივანიძის სიტყვა. ლაპარაკის დროს მას ტირილი წასკდა, რამაც ქვითინი გამოიწვია საზოგადოებაში. ხალხი ნასადილევის სამ საათზე დაიშალა. წესიერებას იცავდნენ ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრები. პროცესიის და მსახიობები. დროს გალობდა მგალობელთა გუნდი და უკრავდა რკინის გზის მუშების ორკესტრი. გვირგვინებთა რიცხვი 40-მდე ადიოდა. გვირგვინები იყო:

1) ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობისაგან: „ქართულ სცენის სიამაყეს და მშვენებას“.

2) მსახიობ ამხანაგთაგან: „ქართულ სცენის გვირგვინის საუკეთესო თვალს ნატოს“.

3) სურამის ქართულ დრამატიულ საზოგადოებისაგან! „ქართული სცენის ბრწყინვალე ვარსკვლავს“.

4) „სახალხო გაზეთის“ რედაქციისაგან: „ხალხის სამსახურისთვის მოჰკირნახულე სახელოვან ნატოს“.

5) „ახალ გზის“ რედაქციისაგან: „ქართული სცენის მოამაგეს“.

6) ტფილისის მუშებისაგან: „ქართული სცენის დამამშვენებელს მშვენიერ მსახიობ ქალს ნატოს“.

7) ქუთაისის ქალაქის გამგეობისაგან: „ქართული სცენის დიდებულ ნიჭს“.

8) მიხეილ ლობჟანიძისაგან.

9) სოფ. და ალექს. სარაჯიშვილებისაგან.

10) ტფილისის სახალხო გასართობების საზოგადოებისაგან.

11) „ნაკადულის“ რედაქციისაგან.

12) ებრაელთა დრამატიულ წრისაგან.

13) არტისტიულ საზოგადოების თეატრის დირექციისაგან.

14) ჟურნალ „თეატრი და ცხოვრება“-საგან: „სამშობლო სცენის მშვენებასა და ხელოვნების ტაძრის ძვირფასს ქურუმს ნატ. გაბუნიაცაგარლისას“.

15) ტფილისის ქართულ გიმნაზიის კომიტეტისაგან და სპედაგოგიო საბჭოსაგან: „ქართულ სცენის დამამშვენებელს ნატ. გაბუნია ცაგარლისას“.

16) ქალაქის თვითმართველობისაგან.

17) „ტიფ. ლისტოკის“ რედაქციისაგან.

18) ხონის დრამატიულ საზოგადოებისაგან.

19) ქიათურის დრამატიულ საზოგადოებისაგან.

20) ფოთის საზოგადოებისაგან: „ქართულ სცენის სიამაყეს“. დანარჩენ გვირგვინების სია ხვალინდელ ნომერში იქნება მოთავსებული.

## ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალება

**დ ე პ ე შ ე ბ ი**

**აბასთუმანი.** ღრმად ვწუხვართ ბრწყინავი მხატვარის მსახიობ ქალის მაღალ ნიჭიერ ნატო გაბუნია-ცაგარლის მოულოდნელ დაკარგვას და ჩვენს გულწრფელ მწუხარებას უცხადებთ სამშობლო სცენის მუშაკთ.

**გრიგოლ გველესიანი, არჩილ ჯორჯაძე, სვიმონ მდივანი.**

**ყაზახი.** ქართველ საზოგადოებასთან ერთად ვგლოვობთ დიდებულ მსახიობ ქალის, მშობლიურ თეატრალურ ხელოვნების სიამაყის გაბუნია-ცაგარლის დაკარგვას.

ყაზახის ქართველებისაგან—**ჩიკვაიძე.**

**ბაქო.** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ბაქოს განყოფილების გამგეობა დამწუხრებულია ქართულ სცენის მაღალ ნიჭიერ მსახიობის ნატო გაბუნიას დაკარგვით. განსვენებული დიდხანს და ბრწყინვალედ ემსახურებოდა სამშობლო სცენას და დაუფასებელი სამსახური დასდო

# ბანკის საქმე

(დასასრული *)

ანორმალიური საფინანსო მდგომარეობის მიზეზი უნდა ვეძიოთ არა სადეპოზიტო, არამედ საემისიო სისტემაში, რომლითაც ინგლისის ბანკი ხელმძღვანელობს 1844 წლიდან. ინგლისური საემისიო სისტემა ყველაზე უკან არის ჩამორჩენილი და მისი შეცვლა არ ძალუძთ იქ, სადაც ტრადიცია ხალხის ძვალსა და რბილში ღრმად არის გამჯდარი. ინგლისური კონსტიტუციის ისტორიკოსი და საფინანსო ბირჟის კრიტიკოსი ვალტერ ბეჯგოტი ამბობს: „მე ვურჩევ ინგლისელებს არსებული საემისიო სისტემა შეინარჩუნონ, რადგან სხვაფრივ რჩევა უნაყოფო იქნებოდა. ამ სისტემის შეცვლა უფრო ძნელად მიმაჩნია, ვიდრე ინგლისის მონარქიული სახელმწიფო წესწყობილების რესპუბლიკანურზე შეცვლა“.

მოყვანილი მაგალითები საკმარისია, რომ მკითხველმა ჯეროვანი წარმოდგენა იქონიოს დეპოზიტურ ბანკების დიდ მნიშვნელობაზე თანამედროვე საზოგადოების კაპიტალისტურ წარმოებაში. პროფესორი რისსერის შედარებით, დეპოზიტური ბანკი საზოგადოების სხეულის გულია, რომელიც თავის ერთს ნახევარში სხეულიდან ნამუშევარ სისხლს იზიდავს, მეორე ნახევრიდან თავისუფალ სისხლს ისევ სხეულის ყველა ასოს საზრდოთ უგზავნის. დეპოზიტური ბანკი, გარდა იმისა, რომ იგი გამნაწილებელია ხალხში თავისუფალ კაპიტალისა, რეგულიატორიც არის საქვეყნო ფულის ბრუნვაში.

ეჭვს გარეშეა, მინამ ღირებულობის საერთო საზომად ძვირფასი ლითონი არის მიღებული, ვერც ერთი საემისიო ბანკი ვერ ასცდება გაკვლეულ გზას: მან ყოველთვის სათადარიგო თანხად უნდა იქონიოს საკმარისად დიდი ლითონის განძი, ოქროს ფულები, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოცემულ ბანკნოტებს—ქაღალდის ფულებს ნდობა დაეკარგება. ყველასათვის ცხადია, ხალხის გამრავლებისა და ეკონომიურ მოქმედების გართულებასთან ერთად, გაძლიერებულ აღებ-მიცემობისათვის აუცილებლად საჭირო გახდება ფულის ნიშნების გამრავლება. მართალია, უფრო გაფართოებული რკინის გზის ლიანდაგი, გაუკეთესებული ტელეფონი, ტელეგრაფი საშუალებას მისცემს ფულის ნიშნების იმავე რიცხვით უფრო მეტი და გაადვილებული აღებ-მიცემობა მოახდენინოს, მაგრამ ცნობილია, რომ საქვეყნო მეურნეობის გართულება წინ უსწრობს ტეხნიკურ განვითარებას და ეს გარემოება გამოიწვევს ფულის ნიშნების გამრავლებას. მაგალითად, საფრანგეთში 1870 წლიდან 1907 წლამდის ბანკნოტების ჯამმა 1500 მილიონ ფრანკიდან 4670 მილიონამდე იმატა, გარდა იმისა რომ ლითონის ფულების ხმარებაც საკმარისად გადიდდა.

თუ მხედველობაში მივიღეთ, რომ ბუნებაში ოქროს რაოდენობა განსაზღვრულია და მოპოვებულ ოქროდან მხოლოდ ნახევარი იხმარება ფულის გამოსაჭრელად, მოსალოდნელია ისეთი წამი, როდესაც საემისიო ოპერაციის გაფართოვება შეუძლებელი გახდება. მაშინ საკმარისი ფულის უქონლობის გამო ქვეყნის მეურნეობა გაჭირვებულ მდგომარეობას განიცდის და ამას საერთო კრიზისი მოჰყვება.

რომ ეს პირველ შეხედულობით ფანტასტიური მოსაზრება უსაფუძვლო არ არის, ამაში ჩვენ ვრწმუნდებით გერმანიასა და შეერთებულ შტატებში გაძლიერებულ წარმოების (მეტადრე ელექტრო-ტეხნიკურის) შედეგით, რომელმაც აშკარად დაანახვა ფულის ნიშნების ნაკლებულობა.

ყველგან მოითხოვენ საემისიო ბანკების ოპერაციის გაფართოვებას, ბანკნოტების გამრავლებას, მაგრამ ბანკებს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება არ შეუძლიანთ, რადგან სათადარიგო ოქროს ლითონი არ მოეპოვებათ. „ყვითელი სიმშილის“ ე. ი. ოქროს სიმცირის მაჩვენებელი ამერიკის კრიზისია.

ასეთი ფულის სიძვირემ ბოლო წლებში გამწვავებული ხასიათი მიიღო, როგორც ამერიკასა, ისე ევროპაში და დააფიქრა ბანკირთა წრეები. ეკონომისტი ლერუა ბოლიე და პროფესორი ლექსისი ამ მოვლენას ხსნიან გაძლიერებულის წარმოებით მეტადრე გერმანიასა და ამერიკის ჩრდილოეთ შტატებში, რამაც დიდ ძალი ფული უძრავად ჰყო, აღებ-მიცემობას ააცალა.

ლერუა ბოლიეს ანგარიშით, 1906 წელს გამოცემულ 26 მილიარდიდან ფრანკის ქაღალდის ღირებულობისა, ბანკნოტებისა, 10 მილიარდი კონვერსიებს *) მოუნდა, დანარჩენი 16 მილიარდი ახალმა წარმოებამ შთანთქა. ეს ჯამი სამჯერ აღემატება 1880—1901 წლებში გამოცემულ ბანკნოტების ღირებულობას. შემდეგ, მისივე ანგარიშით, 1906 წლის ახალ წარმოებათა მოთხოვნილება ორი მილიარდით აღემატება ნაშრომის გადანარჩენს დაზოგვილ ქონებას, რადგან ამ უკანასკნელის ჯამი 14 მილიარდით გამოიხატება, მაშასადამე, 2 მილიარდი ფაქტიურ დეფიციტად უნდა ჩაითვალოს.

ამ უდიდეს რიცხვების, მილიარდების ანგარიშში შეიძლება იყოს შეცდომა, შეიძლება ეკონომიური ცხოვრების ათას-გვარი პირობები, ერთმანეთში გადაბმულ-გადაკვანძილი ხშირად უხილავის ძაფებით, მკვლევარს გამოუსხლტეს თვალთა ხედვიდან და მისი დასკვნაც არ შეეფერებოდეს ამა თუ იმ მოვლენის გამომწვევ მიზეზს, მაგრამ მაინც ფაქტი-ფაქტად რჩება.

ამ საკითხის ახსნაში ლერუა ბოლიეს არ ეთანხმება სხვათა შორის ე. ეფშტეინი. მას უფრო ლოგიკურად მიაჩნია მიზეზის აღმოჩენა იმ შეუფერებლობაში, რომელიც არსებობს საქვეყნო აღებ-მიცემობისა და ფულის ან მის სამაგიერო ნიშნების შორის. ძნელი სათქმელია, რამდენად სწრაფია თავ-სუფალ კაპიტალის ზრდა და მოთხოვნილება წარმოების მიერ გამოწვეული, ხოლო საემისიო ოპერაციის სტატისტიკა იმის უტყუარ საბუთს იძლევა, რომ ბანკნოტების საერთო ღირებულობამ მცირედი ცვლილება განიცადა.

ამ მხრივ გამონაკლისს შეადგენს საფრანგეთი, რომელიც მონაწილეა ლათინურ ფულის კავშირში, თანაც პრემიებით და სხვა-გვარ საშუალებით აძლიერებს თავის ოქროს რეზერვს საემისიო ოპერაციის გასაფართოვებლად. საფრანგეთში 1870 წლიდან ბანკნოტების ჯამის ზრდა გამოიხატა 3170 მილ. ფრანკით, გერმანიაში მხოლოდ 600 მილ. მარკით, ინგლისში კი თითქმის უცვლელი დარჩა. განაღდებელ %-ის სიმცირე საფრანგეთში ბანკნოტების სიმრავლით აიხსნება და არა წარმოებაში მცირე მონაწილეობით, როგორც ეს ჰგონია პროფ. ლექსისს. საფრანგეთი თუ შედარებით ნაკლებ ფინანსიურ დახმარებას უწევდა საკუთარ წარმოებას, სამაგიეროთ იგი მილიარდებით სესხს გასცემდა უცხო სახელმწიფოებზე, რომელთა ობლიგაციები მრავლად მოიპოვება პარიზის ბირჟაზე.

ამ ელემენტს რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ფულის სიძვირეზე, ეს იმ ფაქტიდან სჩანს, რომ გერმანიისა და ინგლისის ბანკები, მიიღებენ რა საშუალებას რეზერვის გასადიდებლად, უმალვე აფართოვებენ საემისიო ოპერაციას და გასანაღდებელ პროცენტსაც უკლებენ. ლერუა ბოლიესაგან ნაჩვენები, ორ მილიარდიან დეფიციტის გამომწვევი მიზეზი თითქო აქ ჭრაფერ შუაშია.

არა ნორმალური მდგომარეობა, მაშასადამე, უნდა ვეძიოთ საემისიო ოპერაციის მექანიზმში, რომელიც თანდათან მეტად შევიწროვდება, რაც უფრო გაძნელდება რეზერვის გამადიდებელი საშუალება.

ყვითელ ლითონის მნიშვნელობაზე ნათქვამი შეეხება განვლილ 1907 წლის ეპოქას, როცა საქვეყნო ფულის ბაზარი დიდ შევიწროებას განიცდიდა. ერთის წლის განმავლობაში, ე. ი. 1908 წლის ივნისამდე ფულის ბაზარზე უცებ დიდი ცვლილება მოხდა: ფული იმდენად გაიაფდა, რომ ლონდონში, მაგალითად, ფულს ასესხებდნენ 3/4, ზოგჯერ 1/2 % ად, სამი თვის ვადით 1 1/4 %-ად. ლერუა ბოლიესი და ლექსისის შეხედულობით ეს მოვლენა აიხსნებოდა იმით, რომ ამ მოკლე ხანში თავისუფალმა კაპიტალმა უცებ იმატა, ან წარმოებაში დაბანდებული ძირითადი თანხა განთავისუფლდა. ერთიცა და მეორეც ასეთ მოკლე ხანში შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რადგან წარმოებაში შეტანილი ძირითადი თანხა ნაწილ ნაწილ, არა ნაკლებ 10 წლის განმავლობაში თავისუფლდება და ამიტომ ხსენებულის მიზეზის გავლენით ფულის ბაზარიც თანდათან უნდა გამაგრებულიყო. უფრო ნაკლებ მოსალოდნელია თავისუფალი კაპიტალის უცები ზრდა, მით უფრო, რომ თუმცა წარმოება იმ წელიწადს შედარებით მცირე თანხას მოითხოვდა, სამაგიეროთ გაცილებით დიდძალი თანხა მოუნდა სახელმწიფო, საახალშენო და საქალაქო ფონდების განაღდებას.

მაშ რით აიხსნება ასეთი უცები ცვლილება?

ეს აიხსნება მხოლოთ **საქვეყნო ვაჭრობა-მრეწველობის შემოკლებით, შემოკლებით საზოგადოთ წარმოებისა და მოხმარებისა**, რომელიც შედეგად მოჰყვა წინა წლების გაძლიერებულ ზედმეტ წარმოებას, ფულის სიძვირეს და ამერიკის გამწვავებული კრიზისს. მაგრამ ამ **შემოკლებამ გაანთავისუფლა არა ძირითადი, არამედ საბრუნავი თანხა.** წარმოებასა და აღებ-მიცემობას ნაკლებ მოუნდათ ბანკებისაგან დახმარება მოკლე ვადიანის სესხით, ბანკებიც თავის მხრივ ისე ხშირად აღარ მიმართავდნენ ცენტრალურ საემისიო ბანკს, რომელსაც ამის გამო საშუალება მიეცა ოქროს რეზერვი გაეძლიერებინა და საემისიო ოპერაცია გაეფართოვებინა. ასეთის დასკვნისათვის უტყუარ დამამტკიცებელ საბუთებს ვხედავთ ინგლისისა, გერმანიისა და საფრანგეთის ბანკების ანგარიშებში 1907—1908 წლ. ივნისს.

სამი ბანკის სათადარიგო რეზერვს ლითონის ფულად შეადგენდა:

| | | |
|---|---|---|
| 1908 წ. ივნისში | — 5130 | მილ. |
| 1907 წ. „ | 4580 | „ |
| 1908 წ. მეტი | — 550 | მილ. |

განაღდებული ვექსელებით:

| | | |
|---|---|---|
| 1908 წ. ივნისში | — 2655 | მილ. |
| 1907 წ. „ | — 3150 | „ |
| 1908 წ. ნაკლები | 495 | მილ. |

1907 წელიწადთან შედარებით ბანკის რეზერვებმა იმატეს

*) იხ. „სახ. გაზ.“ N 86.

*) კონვერსია ძველი ვალის ახალზე შეცვლაა დაკლებულის სარგებლით.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა
აცხადებს, რომ 8 აგვისტოდან მოესპო გაზეთის გზავნა იმ ხელის მომწერთ, ვისაც 6 მანეთზე ნაკლები ჰქონდა შემოტანილი. აგრეთვე მოესპოთ გზავნა თვიურ ხელის მომწერთაც, რომელთაც 8 აგვისტოსთვის არ შემოიტანეს ხვედრი ფული.
**მოვაგონებთ** წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ივლისისათვის უნდა გადაეხადათ წლიური ხელის მოწერის ფასი. ვისაც სრულად არა აქვს შემოტანილი, დააჩქარონ და შემოიტანონ.
ვისაც ფული აქვს გამოსაგზავნი აუცილებლად ამ მისამართით გამოგზავნონ:
Тифлисъ, Большая Ванкская № 12, Семену Пашалишвили.
კანტორა პასუხის-მგებელი არაა, თუ ფული სხვა მისამართით იყო გამოგზავნილი და გაზეთი არ მიუვიდათ. ვინც „სახალხო გაზეთზე“ ან სხვა სახელზე გამოგზავნა ფული, დააჩქაროს და განცხადება შეიტანოს ფოსტის კანტორაში ფული ზემოდ ნაჩვენებ ადრესზე გადასცენ. „სახალხო გაზეთის“ კანტორა.

მას. გთხოვთ გადასცეთ მწუხარება განსვენებულის მახლობელთ.

**გამგეობა.**

—

**დ. სურამი.** უზომოდ შეგვაწუხა ძვირფას ნიჭიერ მსახიობ ქალის ნატოს უდროვოდ დაკარგვამ. ვგლოვობთ ქართველ საზოგადოების მძიმე დანაკლისს და სამშობლო სცენის ბრწყინვალე ვარსკვლავის ჩაქრობას. გადავიხადეთ პანაშვიდი.

**ქართველი საზოგადოება.**

—

**დ. სურამი.** ვსტირით და ვგლოვობთ ჩვენი უფროსი ამხანაგის, მასწავლებლის და ხელოვნების სიამაყის დაუფასებელ ნატოს გარდაცვალებას.

**სურამის ქართული დრამატიულ დასის მსახიობნი.**

—

**დ. სურამი.** საერთო სამგლოვიარო ხმას ვუერთებთ ჩვენ სუსტ ხმასაც და გულჩათუთქული ვსტირით ქართველ ქალთა სიამაყეს, ძვირფას ნატოს სიკვდილს.

**ქართველი ქალები.**

—

**დ. სურამი.** ვსტირით სამშობლო სცენისა და ქართველ საზოგადოების დაობლებას. ღრმად ვწუხვართ ქართველ ახალგაზრდობის ძოამაგის ნიჭიერ ნატოს სიკვდილს.

**ქართველი სტუდენტები.**

—

**გურჯაანი.** ულმობელმა სიკვდილმა უდროოდ გამოგვტაცა ხელიდან ნიჭიერი მსახიობი ქალი და მით დაობლა ქართული სცენა, რომელიც ისედაც ღარიბია მისებრ ძლიერი ნიჭის მქონე მსახიობებით. მოაკლდა ქართულს სცენას თავის ერთი საუკეთესო მარგალიტი, ღრმად დამწუხრებულმა ადგილობრივმა ინტელიგენციამ, რომელმაც ვერ შესძლო იუბილეს დღეს ღირსეული მიეძღვნა გაბუნიასათვის, გარდაიხადა პანაშვიდი და ესწრაფვის დეპეშებით წარმოსთქვას ჯერედ გაუცივებელ იმის გვამის წინაშე უკანასკნელი სიტყვა „მშვიდობით“.

**გურჯაანის ინტელიგენცია.**

—

**გორი.** ღრმა მწუხარება გამოიწვია ქართულ სცენის მაღალ ნიჭიერ მსახიობ ქალის ნატალია მერაბის ასულის გაბუნია-ცაგარლის გარდაცვალებამ გორისა და მის მაზრის მცხოვრებთა შორის. 19 აგვისტოს გადახდილ იქმნა პანაშვიდი და მოგროვილი ფული გვირგვინის მაგივრად, გადავდეთ შესანიშნავ მსახიობ ქალის სახელობის საერთო ფონდისთვის მისამატებლად.

გორის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი **თავ. ნ. ა. თუმანიშვილი** ქალაქის მოურავის მაგიერ **ლოლაძე.**

**წ ე რ ი ლ ე ბ ი**

**ხაშური.** შეუდარებელის დიდის ნატოს მოულოდნელმა სიკვდილმა მწვავე სევდით აგვავსო. ბედრკულის ქართულის თეატრის ცას მოსწყდა მუქური ვარსკვლავი, ალმობრწყინებული განაპირა საქართველოს კუთხიდან — სამეგრელოდან, დიდის ნიჭის შარავანდედით იქმნება მოცული ხსოვნა მიცვალებულისა მთელს ქართველს საზოგადოებაში... დრამატიულს კომიტეტს, ჩამოსვლისას, წარვუდგენ ჩემს წვლილს ღირსეულის სახსოვარის ასაგებად განსვენებულის საფლავზე. საუკუნოდ იყოს ხსენება დაუვიწყარი ნატოსი. **იაკობ გოგებაშვილი.**

—

**დ. სურამი.** მთელი ქართველი საზოგადოება შეაძრწუნა ნატო გაბუნია—ცაგარლის სიკვდილმა. მისი სიკვდილის ამბავი შევიტყეთ 17 აგვ. მსწრაფლ მოედო მთელ სურამს და ყველა, დიდი და პატარა გულწრფელად ჰგლოვობს მისი ნიჭის ასე უდროოდ, ასე მოულოდნელად დაკარგვას. ადგილობრივი ქართული დრამატიული საზოგადოება ღრმად სწუხს თავისი სასიქადულ საპატიო წევრის დაკლებას. იმდღესვე თავმჯდომარის თაოსნობით მოწვეულ იქმნა საჩქაროდ გამგეობის კრება. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა მიცვალებულის ხსოვნას. მცირე თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს, 1— გადახდილ იქმნას პანაშვიდი მის სულის მოსახსენებლად 2, გაიგზავნოს საზოგადოებისაგან წარმომადგენელი, დეპეშა და გვირგვინით შეამკოს ნატოს ცხედარი.

18 მარიამობისთვეს შუადღის 12 საათზე გადახდილ იქმნა პანაშვიდი, აუარებელი ხალხი დაესწრო როგორც ადგილობრივნი აგრეთვე მოაგარაკენიც გულწრფელად სწუხდა სამშობლო სცენის დამამშვენებელის, ნატოს სიკვდილს. პანაშვიდებს შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა სტუდენტმა ოთარ შალიბაშვილმა.

**ყორანი.**

—

**ქუთაისი.** გულითა და სულით ვწუხვართ და ვგოდებთ ქართველ მსახიობის ნატო გაბუნია-ცაგარლის დაკარგვას, რომელიც სწორედ იმ დროს გამოვიდა სახალხო მოღვაწეობის ასპარეზზე, როდესაც ქართული თეატრი ფესვებს იდგამდა და როდესაც ქართველ ქალებს დიდად ესირცხვილებოდათ სცენაზე გამოსვლა. მან პირველი იერიში მიიტანა დი სძლია ცრუმორწმუნოებას. მის მაგალითს სხვებმაც მიბაძეს და აი დღეს ქართველებს ბევრი შესანიშნავი მსახიობი ქალები გვყავს. იმის სიკვდილით ჩვენ მოგვაკლდა ნამდვილი ქართველი ქალი, რომელიც მთელს თავის სიცოცხლეში სამშობლოსთვის ზრუნავდა და იმის საკეთილდღეოდ არ შეუდრკა არავითარ გაჭირვებას და დაბრკოლებას. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი ჩვენ შორის, ქართველთა მოჭირნახულევ, ქართულ სცენის დაუღალავო მუშაკო ნატო. **სერგო გერსამია, არჩილ ფარადოვი, პროკოფი გუჯაბიძე დავით პეტმალჯიანცი.**

—

**ს. ტეზერი.** დიდ მწუხარებას ვუცხადებ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას, რომლის ისედაც დაჩაგრულ სცენას, მოაკლდა უდროოდ მუდმივი და უანგარო ნატო. სტუდენტი **არჩილ საგანელი.**

—

**ჭიათურა.** 17 აგვისტოს მოხდა კრება ჭიათურის დრამატიულ საზოგადოების გამგეობისა და სცენის მოყვარეთა წარმომადგენლებისა და გადასწყვიტეს ძვირფას ნატოს დაკარგვის გამო გადაიდოს კვირის წარმოდგენა, დაესწროს მათი წარმომადგენელი დასაფლავებას და მიუძღვნას ცხედრის შესამკობად გვირგვინი, გადასდოს დაუძლურებულ არტისტთა ფონდის გასაძლიერებლად ხუთმეტი მანეთი და ხუთშაბათს, 19 აგვისტოს გადახდილ იქმნას სულის მოსახსენებლად პანაშვიდი, რაიც ეუწყოს ჭიათურის საზოგადოებას. ამას გარდა გაუგზავნოს თანაგრძნობის დეპეშა ტფილისის დრამატიულს საზოგადოების გამგეობას. **გახილ იორდანეს ძე რცხილაძე.**

—

**ავლაბარი.** კიდევ ერთი ნიჭიერი და დაუღალავი კულტურული მუშაკი მოაკლდა ჩვენს საზოგადოებას. ღრმად დამაღონა და ენით გამოუთქმელი მწუხარება მაგრძნობინა ჩვენმა საამაყო და სასახელო არტისტი ქალის ნატო გაბუნია-ცაგარლის დაკარგვამ. **ვანო ლალიაშვილი.**

---

550+495=1045, ე. ი. ერთი მილიარდ ორმოცდა ხუთ მილიონ მარკით. ამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ უმთავრეს ბანკების ბალანსების მდგომარეობამ ძირითადი გავლენა იქონია საქვეყნო ფულის ბაზარზე, რომელიც საბედისწერო კავშირით არის გადაბმული თავისუფალ ოქროსა და საემისიო ოპერაციაზე.

რა საშუალებით აიცილებს ქვეყანა შემდეგშიაც მოსალოდნელ უბედურებას, ფულის სიმცირით გამოწვეულს? ამის ერთად ერთ საშუალებად უნდა ჩაითვალოს თანდათანი განვითარება—გავრცელება **ანგარიშის კომპენსაციისა**, ე. ი. ურთი ერთ მოვალეობის ჩათვლისა; ამისათვის კი საჭირო იქნება კანონმდებლობითი ჩეკის ხმარების შემოღება და ხალხთა შორისი საანგარიშო დარბაზების დაარსება. მხოლოდ მაშინ დაჰკარგავს საემისიო ოპერაცია თავის მწვავე ხასიათს რომელიც ხშირად აფერხებს ხალხის წარმოებას და აღებ-მიცემობას.

ეს პროცესი, რა თქმა უნდა, გრძელ გზას გაივლის, მინამ ხალხი ფულის მაგიერ ნიშნების ხმარებას შეეჩვევა კანონმდებლობის ზედგავლენით. ხოლო უმთავრესი შრომა ამ საქმეში დეპოზიტურ ბანკებს მოელით, რადგან ეს ბანკები არიან თავისუფალ თანხების მიმზიდველ შემნახველნი, გროშებისაგან მილიონების შემკვრელნი.

გამოცდილებაც ამასვე ამტკიცებს. აი მაგალითები.

დეპოზიტის საქმე ყველაზე ნაკლებ საფრანგეთშია განვითარებული. იქ ამიტომ მიუხედავად ლითონის ფულის სიმრავლისა და არც დიდად განვითარებულ წარმოებისა, 39 მილიონ მცხოვრებელზე 4670 მილიონ ფრანკის ბანკნოტები ხმარებაში, რაც თითო სულზე 119 ფრანკს შეადგენს,

უფრო განვითარებულია დეპოზიტის საქმე გერმანიაში თუმცა იგი ლითონის ფულით საფრანგეთზე ღარიბია, მისი ვაჭრობა მრეწველობა უფრო აყვავებული, მაინც 60 მილიონ ხალხზე ხმარებაშია 1400 მილიონ მარკის ბანკნოტები, რაც თითო სულზე 23 მარკას შეადგენს.

უმაღლეს წერტილამდინ არის აყვანილი დეპოზიტის საქმე ინგლისში, ლითონის ფულის ტრიალი ორჯერ ნაკლებია საფრანგეთისაზე, ვაჭრობა მრეწველობა უპირველესი დედა მიწის ზურგზე, ხოლო ბანკნოტების ღირებულობა 29 მილიონ გირვანქა სტერლინგით გამოიხატება, რაც თითო სულზე— ორმოცი მილიონ მცხოვრებელთაგან —13 შილინგს ანუ 13 მარკას შეადგენს.

ინგლისის ბანკმა სამჯერ—1847, 57 და 66 წლებში ისეთი გაჭირვებული მდგომარეობა გამოსცადა, რომ საჭიროთ გახდა პილის საბანკო აქტის მოქმედების შეჩერება. ამის შემდეგ 1867 წლიდან მოყოლებული ჩვენ დრომდე ამ გვარი შემთხვევა აღარ განმეორებულა, თუმცა საემისიო სისტემა უცვლელად დარჩა და ბანკნოტების ხმარებამ-ც მცირეთ —5 მილიონი გირვანქით იმატა, ხოლო მაშინდელი ვაჭრობა მრეწველობა არ შეედრება აწინდელს.

ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ მაშინდელი დეპოზიტური ბანკები თანამედროვე მნიშვნელობას მოკლებული იყვნენ, ვერ იზიდავდნენ ხალხში გაბნეულ თავისუფალ თანხას და საანგარიშო მექანიზმიც თანამედროვე მნიშვნელობით თითქმის ცნობილი არ იყო. ლონდონის საპროვინციო საანგარიშო დარბაზი ცნობილ ჯონ ლებბოკის ინიციატივით დაარსებულ იქმნა 1858 წ., საფონდო დარბაზი-კი მხოლოთ 1875 წელს. დეპოზიტების ჯამი 1867 წ. 250 მილიონ გირვანქა სტერლინგს შეადგენდა ახლა კი 860 მილიონს. საანგარიშო დარბაზს მოქმედება გამოიხატებოდა $3^1/_2$, ეხლა კი თოთხმეტი მილიარდი გირვანქით.

ამიტომ იტალიის ხაზინის ყოფილი მინისტრი ლუცცატი საფუძვლიანად წინადადებას იძლევა რომ საჭიროა შესდგეს საერთაშორისო კონგრესი მშვიდობიანობისა ოქროს წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა გამოსარკვევად“, რომელმაც შემდეგი საკითხები უნდა გაარჩიოს: შესახებ 1) კრედიტის ტეხნიკურ იარაღისა, 2) საემისიო ოპერაციის გაუკეთესებისა, 3) საემისიო ბანკების შეთანხმებისა ურთიერთ ნივთიერ დახმარებაზე და 4) მუდმივი კომისიის დაარსებისა საერთა შორისო ფულის ხმარებისათვის, როგორიც უკვე არსებული ჰააგის სამშვიდობო კომისია არის.

—

ნათქვამიდან მკითხველი დაინახავს, რომ დეპოზიტური ბანკების მიერ განვლილი ევოლიუცია დიდმნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ხალხის ეკონომიურად დაწინაურებაში. დეპოზიტის საქმის დედა აზრი ეკუთვნის პირველ ბანკებს, რომელნიც დაარსდნენ საქონლის გაცვლის ნიშნების დასადგენად და აღებმიცემობაში ანგარიშის გასასწორებლად; შემდეგ, საბანკო მოქმედების განვითარება თანდათან ამცირებს ბანკნოტების საჭიროებას და პირიქით სცდილობს თავისუფალ კაპიტალის შეგროვებას, აკუმილიაციას; მოსალოდნელია, რომ ამ საქმის განვითარების უკანასკნელ საფეხურზე ბანკნოტების ხმარება უარყოფილ იქმნას, სამაგიეროთ მოხდეს თავისუფალ კაპიტალთა სრული აკუმილიაცია და საანგარიშო მექანიზმის კონცენტრაცია. პროფესორ ზომბარტის მიერ გამოთქმული მოსაზრება, შესახებ სოციალურ სახელმწიფოს განხორციელებისა ბანკთა კონცენტრაციის საშუალებით, თუ ადრეულად მივიჩნიეთ, დარწმუნებით შეიძლება იმის აღიარება, რომ აღნიშნული პროცესი მძლავრად ხელს უწყობს ახალ სიკეთეთა წარმოებას, თვით ამ სიკეთეთა დაბალ წრეებში ფართოდ გავრცელებას, კეთილ დღეობის საშუალებათა გადემოკრატებას. და თუ ნივთიერი კეთილდღეობა უსაჭიროეს პირობას შეადგენს ხალხის გონებრივ, ზნეობრივ და სოციალურ განვითარებისას, ბანკებს ამ კულტურულ საქმეში საპატიო როლი, მძლავრი ფაქტორის მნიშვნელობა ეკუთვნის. ამიტომ საბანკო სფეროში მომქმედთა მომზადება, ამ საქმის სულის ჩამდგმელთა გონებითი განვითარება სახელმწიფოს დიდ საზრუნველ საქმეა უნდა შეადგენდეს. ინგლისელების თქმისა არ იყოს, საქმის კეთილად წარმოებისთვის საჭიროა საქმის მცოდნე კაცი და არა ფორმა, ინსტრუქცია, ბრძანება. ჯერ კიდევ ჯილბერტმა შენიშნა, რომ ბანკის საქმე ერთსა და იმავე დროს ხელოვნებაც არის და მეცნიერებაც. ხელოვნებად ჩაითვლება, რადგან მას მჭიდრო კავშირი აქვს ხალხის ყველა დარგის წარმოებასთან, მეცნიერებაშიაც წილი უდევს, რადგან იგი შეადგენს პოლიტიკურ ეკონომიის უმთავრესს ნაწილს. ამიტომ ვისაც სურს საბანკო მოღვაწის სახელი დაიმსახუროს მან თავისი მოქმედება არ უნდა განსაზღვროს დღიურ საჭიროებათა მოსაზრებით, არამედ ცოდნით შეიარაღებულმა უნდა გაითვალისწინოს მრავალ ფეროვანი ცხოვრების ეკონომიური, სოციალური, პოლიტიკური პირობანი, ცალკე და ერთად მომქმედნი მის მიერ ნაკისრ საქმეზე.

**იგნატე ხრამელაშვილი.**

---

—

**ქულაში.** გული დაგვწყვიტა უდროოდ სიკვდილმა დაუღალავ მოღვაწე ქალის ნატალია-ცაგარელის გარდაცვალებამ. ვგლოვობთ საქართველოს სახელოვან მოღვაწის დაკარგვას და თავს ვინუგეშებთ, რომ იმის სახელი საუკუნოდ დარჩება ერის გულში. **ილიკო სტურუა.**

## მოწერილი ამბები

**სოფ. მეჯვრისხევი.** (გორის მაზრა) ძალზე გაღარიბებული სოფელი იმედის თვალით შეჰყურებდა წრევანდელ მოსავალს მისი სიუხვით ბევრი დამობდა გაჭირვებისაგან თავის გამოხსნას, რადგანაც თავიდან საზოგადოთ მოსავალს კარგი პირი უჩანდა და ამინდებიც ხელს უწყობდა; მაგრამ, საუბედუროთ, იმედი გაგვიცრუვდა. ეხლა დანამდვილებით გამოირკვა, რომ პურის მოსავალი შუათანაზეც ნაკლებია. ხილეულობა ხომ, როგორც წინა წლებში ვამბობდი, ძრიელ ნაკლები მოვიდა. რაც შეეხება ვენახს, არც იმისგან მოელის სოფელი წრეულს დიდ გამოსავალს, რადგანაც ჯერ ერთი ძრიელ ცოტა გამოისხა და რაც გამოისხა ისიც სჭკნება და რადაც მიზეზით სცვივა. ასე რომ წარსული წლების მსგავსადვე, რომ მოგვცეს დიდი ღვთის წყალობა იქნება. გადმოგვცემენ გლეხები. ამნაირ მოუსავლიანობას, როგორც მოთხრობილი მოუხსენება, ზედ ხოლერაც დაერთო, რომელიც ამ ჟამათ უკვე განელდა, მაგრამ თავიდან კი დიდი ზიანი მიაყენა სოფელს და ბევრი მუშა ხელი გამოასალმა ოჯახსა. გარდა ამისა, ეპიდემიის დროს კარგად მოუმფებიც ვერ ჰბედავდნენ მინდვრად მუშაობა და კალოებზე მოგროვილი ძნები ნახევრად გაოხრდა-გაფუჭდა.

რასაკვირველია, ესეთი გარემოებები კიდევ უფრო გაურკვეცებს ისედაც გაძვალ ტყავებულ სოფელს გაჭირვებას. ბევრს პური ამ წლის ბოლომდისაც ვერ მიჰყვება უთუოდ. მიუხედავად ამისა, სოფლის წურბლები, როგორც ყოველთვის ამ დროს, დაძრწიან სოფლად და ხალის ფასად აცლიან გაჭირვებულ გლეხობას ჭირნახულს; რასაკვირველია, იმ მიზნით, რომ ახლო მომავალში ერთი ხუთად გაასაღონ იმავე გლეხობაზე. თავის თავად ცხადია, რომ ამა თუ იმ სამეურნეო ნაწარმოების ნაკლებ მოსავალს თან მოსდევს იმის ფასში აწევა ასე მოხდება უთუოდ წრეულს, ჩვენს რაიონში მაინც, ამიტომ სასურველია თავი შეიკავოს გლეხობამ და ხალის ფასად არ ჩაუყაროს თავისი ნაშრომი ჩარჩ-ვაჭრებს. ამ ჟამათ ხშირად შეხვდები სოფლად, რომ რომელიმე გლეხი ვინმე ჩარჩს ორ მანეთად უკვე თავს კოკა ტკბილს, რომელიც კარგ მოსავლიან წლებშიც სამათ-სამდგომით ათ-თორმეტ მან. იყიდება იმავე ჩარჩებისაგან. კოდ პურს კი ეხლა ხშირად 2—3 მან. უგდებენ, რომელიც ორ-სამი თვის შემდეგ იყიდება ხუთი—ექვსი მან. აქვე. ასეთია გარემოება, მაგრამ ვინ უწევს ანგარიშს სოფლის გაჭირვებას? პირიქით, ამ დღეებში ბრძანება მოვიდა სოფელს გადახდეს ოთხი ათას მანეთამდის ერთდროულად. საქმე იმაშია, რომ აქ არ სებობს ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, რომლის შესანახად სოფელი იხდის ყოველ წლივ 900 მან., ხოლო 500 მან. სამოსწავლო უწყებიდან ეძლევა სუბსიდიად. მოძრაობის წლებში სკოლას მიჰქცეს [illegible] ბიც არავის მოუკრებია, [illegible] წლის ბოლო რიცხვებიდან სკოლა ისევ გაიხსნა. სოფელმა წარსული წლის სკოლის შესანახი 900 მან. უკვე გადაიხადა კიდეც და ასე მოიქცეოდა ეხლაც, რომ სამოსწავლო უწყებას მაშ ხამეტანი არ გახსნოდა და არ მოეთხოვა სოფლისთვის ის რაც მოძრაობის დროს აუკრეფელი დარჩა, რის ჯამიც, როგორც მოწერილობიდან სჩანს, ოთხი ათასი მანეთამდის ადის. ამ ჟამათ ამდენი ფულის გადახდა სოფლისთვის იმდენად ძნელი შეიქმნა, რომ ყოველგან და ყოველთვის მორჩილებას მიჩვეული გლეხობამაც კი გაჰბედა ხმის ამოღება და, როგორც გადმომცეს, შუამდგომლობაც კი აძრა სადაც ჯერ არს, რომ ეს ფული არ გადახდეთ. თუ არ დააკმაყოფილეს ჩვენი შუამდგომლობა ჩვენ იძულებული ვიქნებით განაჩენი დავადგინოთ სკოლის სრულიად გაუქმებაზეო, ამბობენ გლეხები.

**X.**

## ჟ ა მ ი

**(შავი ჭირი)**

ხოლერამ ამ უკანასკნელ დღეებში შესამჩნევად იკლო, მაგრამ სამაგიეროდ კიდევ უფრო უარესი სენი —ჟამი—გვიქადის თავს დასხმას!

ყველა გადამდებ ავათ-მყოფობათა შორის ჟამი ერთი უსაშინელესი სენია, მარტო მისი გაგონებაც კი ადამიანს შიშის ზარს მოჰგვრის.

აქამდის არც ერთს სენს არ ჰქონია ისეთი საშინელი გამანადგურებელი ძალა, როგორიც აქვს ჟამს. უწინდელ დროში აქ რომ ერთი გადარჩენილიყო, დიდი საქმე იყო; თორმეტი საუკუნის განმავლობაში ჟამს მთელი ქვეყანა შიშში ჰყავდა.

სამშობლო ქვეყანა ჟამისა არის ეგვიპტე და მესოპოტამია.

ევროპაში ჟამი პირველად მეხუთე საუკუნეში გაჩნდა. ისეთი სიძლიერით იფეთქა, რომ თითქმის მთელი ქვეყანა გაანადგურა, თითქოს მასში ღვთის რისხვა იხატებოდა. არც ერთი ქალაქი, არც ერთი ხალხის ტომი არ გადარჩენია ამ საშინელ სენს. აქ რომ ზაფხულობით გაჩნდებოდა, იქ ზამთრობით იფეთქებდა; ერთი დედა-მიწის კუნჭულიც კი არ დარჩენია ევროპაში, თვით მთის მწვერვალებზედ, თუ კი იქ ადამიანი სცხოვრობდა, იქაც ესტუმრა ეს საშინელი სტუმარი.

ბოლოს გაჩნდა სტამბოლში; გამოუთქმელმა შიშის ზარმა მოიცვა მთელი ეს ქალაქი; ზოგი ქალაქს გარედ გარბოდა, ზოგი სარდაფებში და მონასტრებში ჩაიკეტა და სულიერ ადამიანს არ ეკარებოდნენ.

თვით შვილი დედ-მამას არ ეკარებოდა; ნათესაობა, მეგობრობა და ერთობა გაჰქრა. შვილს რომ გაეგო დედა ავად—გახდა ჟამითო, მაშინვე დედას უპატრონოთ სტოვებდა და გარბოდა რეტ დასხმული, მაგრამ სად გაიქცეოდნენ, როდესაც სიკვდილი თან მისდევდა. რადგან მთელი არე-მარე მოწამლული იყო ამ სენით; იქ სადაც ჰაერი შეატანდა, თან შეჰქონდა ჟამის შხამი.

მრავალიც სიმშილით და წყურვილით დაიხოცა, რადგან პატრონი და მიმვლელი არავინ იყო. სიცხიანს ავათ-მყოფებს აბოდებდათ, ზოგი წყალში ცვივდებოდა და ზოგი ვინ იცის სად გადაიჩეხებოდა. სიკვდილის თვით იმპერატორ იუსტინიანის შვილიც ვერ გადურჩა. ოთხს თვეს გასტანა კონსტანტინოპოლში ეპიდემიამ, დღეში ათი-ათასამდე კაცი იხოცებოდა. ისე განადგურდა ეს უზარ-მაზარი ქალაქი, რომ მდიდარი კაცი მოსამსახურეს ვერ შოულობდა, იმდენი დასამარხი იყო, რომ ულვდლოთ მარხავდნენ, ზოგი კი დაუმარხავიც რჩებოდა. ეს სურათი არის არა მარტო კონსტანტინოპოლისა, არამედ მთელი ევროპისა.

მეექვსე საუკუნიდან მოყოლებული მეთოთხმეტემდე ჟამი თუმცა რამდენჯერმე ეწვია ევროპას, მაგრამ არასოდეს არ ჰქონია დიდი სიძლიერე.

მაგრამ სამაგიეროდ მეთოთხმეტე საუკუნეში იმნაირი სიძლიერით გაჩნდა, რომ კვლავ გაანადგურა მთელი ქვეყანა. საფრანგეთში მთელი ქალაქები აოხრდნენ და სრულიად გაჰქრნენ ამ ეპიდემიის დროს. იტალიაში ხალხის რიცხვი განახევრდა.

ისტორიამ ჟამს შავი სიკვდილი უწოდა. ამბობენ რომ ოცდა ხუთი მილიონი სული იმსხვერპლა ევროპაში.

მეცხრამეტე საუკუნეში ჟამი რამდენჯერმე იყო ევროპაში. და თუმცა უწინდელი გამანადგურებელი ძალა არ ჰქონია, მაგრამ მაინც დიდ-ძალი ხალხი იმსხვერპლა.

ჩვენ საქართველოში, როგორც ამბავად არის დარჩენილი, დიდი ჟამობა ყოფილა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში; ეს ჩვენი ქვეყანა ისედაც მიწასთან გასწორებული, ბედ-დაკარგული და გაუბედურებული ჟამს სრულებით გაუნადგურებია, შეშინებული ხალხი თურმე მთებში გარბოდა, მაგრამ იქაც მიაღწია ჟამმა.

რაც შეეხება ჟამით ავადმყოფის სურათს, უნდა აღვნიშნოთ რომ ეს სურათი საკმაოდ რთულია. ჯერ სანამ ავადმყოფს გამოაჩნდებოდეს ნამდვილი ნიშნები ჟამისა, ეტყობა მაინც შესამჩნევი ცვლილება. ადამიანი გრძნობს სისუსტეს, ფერმკრთალია, თვალები ჩამქრალი აქვს და მუდამ გაშტერებულია, გონება-მოდუნებული და ლაპარაკი არეული აქვს. ასე გასტანს ერთ-ორს დღეს, შემდეგ კი მისცემს საშინელს სიცხეს; ეკარგება მადა, დაუწითლდება სახე და თვალები; ავადმყოფს შიგნეულობა ეწვის, იწყებს ბოდვას და ელანდება სხვა და სხვა საშინელი სურათები, სული ეხუთება, მაჯა უდუნდება.

რამდენსამე დღის შემდეგ ტანზე გამოჰყრის მუწუკებს დაუსივდება და უსივდება ჯირკვლები, ისე რომ ადამიანის სხეულზე კანი იღებს შავს ფერს, რადგან მუწუკებს თავები უსივდება და უსკდება.

აი ამიტომ ჩვენმა ხალხმა დაარქვა შავი ჭირი.

თან და თან ჯირკვლები და მუწუკები უშავდება; მთელი ტანი ტალახის-ფერს იღებს და ლპება და იხრწნება; გონება ეკარგება, ბოდვას უმატებს და კვდება ოთხ-ხუთ დღეში.

არის მეორე გვარი ტიპი ჟამისა, რომელიც უფრო ადრე ჰკლავს ავადმყოფს: უცბად მისცემს სიცხეს, სიცხე რამდენსამე საათში ისე ძლიერდება, რომ ავადმყოფი სრულებით ჰკარგავს გონებას, უჩნდება ფილტვებში ანთება, რომელიც უცბად მთელ ფილტვებს მოედება. ამგვარს შემთხვევაში ჯირკვლების დასივება არ იცის, რადგან ავადმყოფობა სწრაფად მიმდინარეობს.

წინად იმ აზრისა იყვნენ, რომ ჟამი გადადის ერთისაგან-მეორეზე მიკარებით, ე. ი. შეხებით, მაგრამ ეს კი არ იცოდნენ თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ჰაერს. ეხლა კი ვიცით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჰაერს. უმთავრესათ ეს სენი ვრცელდება ჰაერით, ასე რომ სადაც ეს სენია, მთელი ჰაერი იქ მოწამლულია, ჰაერის მოძრაობას ერთი ადგილიდან მეორეზე გადააქვს ჟამის შხამი. ამიტომ შეიძლება ადამიანი სრულებით არ მიეკაროს და არ მიახლოვდეს ჟამით ავადმყოფს, მაგრამ ავად მაინც გახდეს.

როგორც ყველა გადამდებ სენს, ჟამსაც თავისი ბაცილები ჰყავს: ეს ბაცილები თავის მოყვანილობით პაწაწკინა ჩხირს წააგვანან, რომლებსაც თავები დასხვილებული აქვთ. ამ ბაცილების თვისებას შეადგენენ საკვირველი მომწამლავი ძალა და ატანა სიცხე-სიცივისა.

ჰაერს გადააქვს ეს ბაცილები, რომლებითაც იწამლება ადამიანის ფილტვები, ხოლო აქედან მთელი სხეული.

ჟამით ავადმყოფის ტანთ-საცმელი, ყოველი ნივთი მოწამლულია, სადაც კი მოხვდება ეს მოწამლული ნივთები მყისვე სხვასაც გადასდებენ ჟამს.

ეს ბაცილები შედიან აგრეთვე ადამიანს სხეულში დახეთქილ კანიდან, იარებიდან და ჭრილობებიდან. ადამიანის სხეულში, თუ კი იგი ჟამით არის ავად, ერთი ადგილიც არ არის რომ ამ ბაცილებით არ იყოს მოწამლული; ამ გვარ ავადმყოფის ამონასუნთქი ჰაერი, ნახველი, შარდი, განავალი ავრცელებენ ამ საშინელ სენს.

ჩვენ და საუბედუროდ, ჟამის გავრცელებაში ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვთ ვირთაგვებს; ამ ცხოველებს საკვირველი მიდრეკილება აქვთ ამ სენისადმი. როგორც კი სადმე ჟამი გაჩნდება, მაშინვე ვირთაგვებს ეძგერება და ჟლეტს. მოწამლული ვირთაგვები კი ამ სენს ავრცელებენ სახლებში, სადაც ისინი ბინადრობენ. ამიტომ თავდაპირველად უნდა იქმნას ზომები მიღებული ვირთაგვების გასაწყვეტად, იქ სადაც ეს ცხოველებია საშინელი განსაცდელი მოელის მთელ იქაურობას. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ გემებს სხვა და სხვა საქონელთან ერთად ავადმყოფი ვირთაგვები გადმოჰყავთ.

უმთავრესი საშუალებანი ბრძოლისა ამ საშინელ სენთან არის სანიტარული ზომები, საყოველთაო სისუფთავე, ვირთაგვების განადგურება, ჟამით ავადმყოფის იზოლაცია (საღ ადამიანებისაგან გაშორება) დაწვა და დეზინფექცია ყველა იმისა, რასაც რაიმე დამოკიდებულება და სიახლოვე ჰქონდა ჟამით ავადმყოფთან.

ეს არის ასაცრელი საშუალება, იმ შემთხვევაში თუ რომ გვეწვევა ჟამი, წამალიც გვაქვს: ეს არის აცრა.

რადგან ჟამის ბაცილა უკვე აღმოაჩინეს, მისი აცრაც შესაძლებელი შეიქმნა. აცრა ორ გვარია: ერთი, როდესაც ადამიანი უკვე ჟამით არის ავად, მეორე—ასარიდებელი.

დანამდვილებით შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თუ აცრა დროზე მოუსწრო ჟამით ავადმყოფს დიდ საშუალებას აღმოუჩენს აცრა და ზემოაღნიშნული ზომები რამდენად მძლავრი იარაღია ჟამის წინააღმდეგ, რომ ეს სენი ეხლა იმდენად საშიში აღარ არის, როგორც უწინდელ დროში.

**ექიმი ბადრიძე.**

# უცხოეთი

**გერმანიის სოციალ-დემოკრატია.**

შემოდგომაზე ქალ. მაგდებურგში გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ჩვეულებრივი წლიური კრება უნდა შესდგეს და პარტიის ცენტრალური კომიტეტი უკვე ბეჭდავს ცნობებს ამ კრებაზე წარსადგენად. როგორც ამ ანგარიშიდან სჩანს უკანასკნელს წელიწადს ე. ი. შავ-ლურჯი ბლოკის (კონსერვატორების და კლერიკალების) ბატონობის ხანას განსაკუთრებით შეუწყვია ხელი სოციალ-დემოკრატიისათვის პარტიის წევრთა რიცხვი 633,309 ასულა 720,678 მომატებაა 86,729 ანუ 13,69%). კიდევ უფრო გაზრდილა სოციალ-დემოკრატიულ ხმათა რიცხვი რეიხსტაგის დამატებით არჩევნებზე. ამ მხრივ ფრიად საყურადღებოა ეხლანდელი მდგომარეობის შედარება 1907 წლის საზოგადო არჩევნებთან, როცა მუშათა პარტია დამარცხდა ბურჟუაზიული კოალიციასთან შეტაკებაში.

სხვათა შორის საგულისხმიეროა სოციალ-დემოკრატების ბრწყინვალე გამარჯვება ამ ორი კვირის წინად რეიხსტაგის დამატებით არჩევნებზე ცშოპაუ—მარიენბერგის (საქსონიაში, ქალაქ ხემნიცის შიდამოებში) ოლქში: არჩეულ იქმნა ცნობილი რევიზიონისტი ყოფილი პასტორი გორე, რომელმაც 14,443 ხმა მიიღო. ანტისემიტმა ფრიჩემ 4,544 ხმას ძლივს მოუყარა თავი. თავისუფალმა მოაზროვნე ბროდაუფმა კი 4,672. 1907 წლის საზოგადო არჩევნებზე ანტისემიტი ციმერმანი გავიდა 14,732 ხმით 11,281 სოციალ-დემოკრატიული ხმის წინააღმდეგ. ამგვარად მუშათა პარტიამ 3,000 ხმა მოიგო, ბურჟუაზიულმა პარტიებმა კი 5,000 ხმა დაჰკარგეს.

# თეატრი და ხელოვნება

**დ. ხონი.** წარმოდგენების სეზონი უკვე დასრულდა. წარმოადგინეს უკანასკნელად 15 აგვისტოს თამარ გოგოლაშვილის საბენეფისოდ: „ქორწილი ტოროლა“, დრამა 4 მოქმედებად ვილდენბრუხისა. სანამ სცენის მოყვარე-მსახიობებთა თამაშზე ვიტყოდე რასმე მსურს მოკლედ შევეხო თვით პიესის შინაარს. მოქმედება სწარმოებს ქაღალდის ქარხნის პატრონის ავგუსტის სახლში. ავგუსტი მეტად პატიოსანი ადამიანია. მუშებს კარგად ეპყრობა. მას აქვს იმის შეგნება, რომ მექარხნენი კი არა აძლევენ მოწყალებას მუშებს არამედ მუშები მექარხნეებსო. ავგუსტ საზოგადოთ მეტად სიყვარულით ეპყრობა მუშებს. ავგუსტი, ეს ქარხნის პატრონი, იყვარებს თავის მოსამსახურე გოგოს ლენას, რომელსაც დედა ავადა ჰყავს. კეთილი, შებრალე გულის პატრონი ავგუსტი იჩენს გულკეთილობას, შებრალების გრძნობას, ლენას დედისადმი და აძლევს ნებას მას თავის ბაღში იყვეს. და შემდეგ კიდეც უცხადებს თავის სურვილს, რომ მას უყვარს ლენა და სურს ის ცოლად შეირთოს. ლენას დედა თანახმა ხდება რომ ლენა ავგუსტმა ცოლად შეირთოს. თანახმაა ლენას ბიძა ალეც. როდესაც დედა და ბიძა განუცხადებს ლენას ავგუსტის სურვილს ეს ლენას სასაცილოდაც არა ჰყოფნის. მას უკვე ჰყავს საყვარელი ქარხანაში მომუშავე მუშა ილეფელდი. მაგრამ ბოლოს ლენა უჯერებს ბიძას და თანახმაა ცოლად გაჰყვეს ავგუსტს. ლენამ მხოლოდ იმიტომ განაცხადა თანხმობა, რომ როგორც მდიდარი კაცი სააგარაკოდ გაგზავნის დედას და მოარჩენსო. ამ შემთხვევის გამო იმის გულში ბრძოლაა, ერთის მხრივ ილეფელდის სიყვარული, მეორეს მხრივ ავადმყოფი დედა, იმის მორჩენა, ფულები. ლენა დაღვრემილია. ნაღვლიანად ხდება ავგუსტიც. თუმცა თანხმობა განუცხადა ავგუსტს, მაგრამ იმის გულში კვლავ ჰღვივის ილეფელდისადმი სიყვარული მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაში ვარდება, ვერ გამოუნახავს საშუალება თუ როგორ დააღწიოს თავი ავგუსტს. ბოლოს ლენა მიმართავს ავგუსტის ძმას გერმანს, რომელიც წინად კიდეც ეარშიყებოდა ლენას. გერმანი დროით სარგებლობს, გულუბრყვილო ლენას ჰხიბლავს საალერსო სიტყვებით, არწმუნებს, რომ ის მისი კეთილმოყვარეა. ლენა უჯერებს გერმანს და სიტყვას აძლევს მეორე დღეს დილით მივიდეს მასთან.

მართლაც, მეორე დღეს დილის 4 საათზე ლენა მივა გერმანთან, რომელსაც ქალის დანახვაზე ჟინი აღეძვრის და ჰღელავს და ბოლოს მივარდება ლენას, უნდა ძალა იხმაროს. ქალი ჰკივის, უარზეა, ვნებათა ღელვით თავბრუდასხმული გერმანი კიდეც წააქცევს ლენას. აი ამ დროს შემოდის ავგუსტი, რომლის დანახვაზე ლენა ტირილს უმატებს. იმართება ხელჩართული ბრძოლა ორ ძმას შუა.

გერმანს უნდა ესროლოს რევოლვერი, მაგრამ ამ დროს გამოვარდება მათი ნათესავი ქალი იულიანა და ლევორვერს ხელიდან აგდებინებს. ავგუსტი პირველად შეიტყობს, რომ ლენას სხვა უყვარს. შემოდის ილეფელდიც.—ლენას საყვარელი. ავგუსტი უსაყვედურებს ლენას, რისთვის აქამდე არ მითხარი, თუ ვინმე გიყვარდაო. ანთავისუფლებს თავის მხრით და წყალობებს, ე. ი. დედის სააგარაკოდ გაგზავნას კიდევ ჰპირდება ლენას. ბედნიერნი ლენა და ილეფელდი ერთმანეთს ეხვევიან და გადიან. ეს არის პიესის შინაარსი. ყველა მომქმედი პირნი ჩვეულებრივი ტიპებია, გარდა ავგუსტისა, რომელიც ავტორის მიერ გაკეთილშობილებული გმირია—თუმცა შრომა და კაპიტალს შორის ომმა ბევრს მექარხნეს აიძულა ლმობიერობას მიჰყოლოდა, მაგრამ მაინც ავგუსტი არა ბუნებრივი ტიპია, ავგუსტი ეს იდეალია ვილდენბრუხისა. ეხლა ორიოდე სიტყვა სცენის მოყვარე-მსახიობთა თამაშზე. მობენეფისემ ლენას როლში და ნ. გვარაძემ გერმანის როლში საუცხოვოდ ითამაშეს. მათის ხელოვნურის თამაშით საზოგადოება აღტაცებაში მოდიოდა. სცენის მოყვარულნიც ამ საღამოს საერთოდ გვარიანათ თამაშობდნენ. ცოტა არ იყვეს სუსტობდა ავგუსტის როლის აღმსრულებელე ა. ყალამბეგიშვილი. ეტყობოდა როლის უცოდინარობა.

ანტრაქტებში უკრავდა სამხედრო მუსიკა. სამხედრო მუსიკამ მაშინაც დაუკრა როდესაც მობენეფისე პირველად სცენაზე გამოვიდა. ხალხი წარმოდგენას ბლომად დაესწრო. მობენეფისემ მრავალი თაიგული მიიღო საზოგადოებისაგან. თაიგული მიუძღვნა სხვათა შორის მობენეფისეს ხონის მუშათა წრემ.

**მაღალი.**

# რუსეთი

✦ **გადასახლების საქმე რუსეთში.** გადასახლების მომწყობ სამართველოს ცნობებით მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 31 ივლისამდე, შვიდი თვის განმავლობაში, მოძრაობამ გადასახლების მიზნით შემდეგი სახე მიიღო: წელს ამ სამმართველოს ხელში გაიარა ოჯახიანმა 254, 245 კაცმა, მარტო ხელამ—19,859 კაცი, ხოდოკებმა 32, 215 კაც. სულ 316,318 კაცმა. წარსულ წელს გადასახლდა: ოჯახიანი—527,731 კაც., მარტო ხელა—15,949 კაც., ხოდოკები—79,562 კაც.—სულ 623,142 კაცი, ესე იგი 1910 წელს ხსენებულ მიზნით მოძრაობა თითქმის განახევრდა. მეტადრე შემცირდა ხოდოკების (თითქმის 60 %) და ოჯახიანთა რიცხვი (50%). 1910 წელს ზემოხსენებულ რიცხვიდან დაწესებულ დოკუმენტებიანი იყო 213, 059 კაცი, 1909 წელს კი 308, 537 კაცი. აქედან ნათლად სჩანს, რომ მიმდინარე წელს თავის ნებით გადასახლებულთა რიცხვი უდრის მხოლოდ 33,6; 1909 წელს კი ამავე პირთა რიცხვი 50, 4; უდრიდა. ესე იგი ნახევარზე მეტი გადასახლებულთა თავის ნებით მიდიოდა ურალისკენ. მიმდინარე წელს უკან დაბრუნდა 82, 318, ხოლო 1909 წელს 79, 569 კაცი. მაშასადამე წარსულ წელთან შედარებით წელს უკან დაბრუნდა 2,849 კაცით მეტი. ეს ციფრები ნათლად გვაჩვენებენ იმას, თუ რამდენად ვერ ახწევს დანიშნულ მიზანს გადასახლე-ბის საქმე.

✦ **ებრაელების შევიწროება.** რიგის ყველა კერძო საფერშლო, საბერო და კბილების საექიმო სკოლების დირექტორებმა მიიღეს სახალხო განათლების მინისტრის მოწერილობა: არამცა და არამც ებრაელები 10 პროცენტზე მეტი არ მიიღოთო. დირექტორებმა საერთო თხოვნა მისცეს მინისტრს ძალაში ნუ შეიყვანს ამ დადგენილებას.

✦ **ბალტის მონასტერი.** „დრუგ“-ში დაბეჭდილია ორგეევის მაზრის სოფ. მუდეის მცხოვრების ვინმე მარიაკრის ცნობები ბალტის მონასტრის შესახებ, რომლის წაკითხვის დროსაც კაცს თმა ყალხზე უდგება. მარიაკრი წარსული წლის ენკენისთვეში სწვევია ბალტის მონასტერს წმ. ფეოდოსის ნაწილების თაყვან-საცემლად. იგი შესულა ეკკლესიაში, სადაც ამ დროს იმყოფებოდა არქიმანდრიტი ინოკენტი. საზარელი სურათი წარმოსდგენია თვალწინ. მისი სიტყვით ეკლესია სულით ავადმყოფთა სახლს მოგაგონებდათ: აქეთ იქიდან გაისმოდა საზარელი გმინვა, ზოგი იყეფებოდა ძაღლისავით, ზოგი იატაკზე გორავდა, ზოგი სახეს იკაწრავდა, ისე რომ სისხლი ნაკადულივით ჩამოსდიოდა, ზოგი აფურთხებდა ხატებს. უცებ ვიღაცამ სტაცა ხელი მარიაკრის უკანიდან, შეჰკრა თოკით და საკანში ჩაამწყვდია. მონასტერში იგი დატყვევებული ჰყოლიათ ერთ კვირამდე. 80 მანეთიც მარიაკრის ჯიბიდან სადღაც გამქრალა. მარიაკრის შიშით მალე სულით ავადმყოფობა დასტყობია და ფსიხიატრიულ საავადმყოფოში მოუთავსებიათ. მისი სიტყვით მთელ მის ტყვეობის ხანაში მონასტერში რაღაც ჩხრეკა ხდებოდა და არქიმანდრიტი ინოკენტი მალ-მალე სადღაც მიჰყავდათ ხოლმე. მართლაც რომ ბნელი ისტორიაა. (რ).

✦ **გაზეთის დაჯარიმება.** ქ. კოსტრომაში პროგრესიული გაზეთი „სევერნ. ზარია“ ადმინისტრაციამ 300 მანეთით დააჯარიმა. ერთი თვის განმავლობაში ეს მესამეთ დააჯარიმეს იგი, ხოლო მისი წინანდელი ორი რედაქტორი ჯარიმის გადაუხდელობისთვის ციხეში სხედან.

# განცხადებანი


წიგნის მაღაზიების პატრონთა საყურადღებოდ

იყიდება 40% დაკლებით ვინც ხუთ ცალზე მეტს იყიდის: **თხზულებანი ია ეკალაძისა** (თომაანთ კობასი) ღირებული მანეთად, დასაყმაწვილო წიგნი **მელიას თავგადასავალი,** **ა. ნათაძისა** ღირებული 25 კაპ., დაბეჭდილი 1904 წ. მსურველთ მიმართონ სახალხო გაზეთის რედაქციაში **პ. ახალკაცს.** (1—10)

**ექიმი** ვ. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და ხირურგ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—166

**დოქტ. ნავასარდიანისა**

უოველ დღე, კვირეებს გარდა დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1ს. ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6½ ს საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**თ. ვ, გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარცინევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

ვ. ყიფიანის დრამა

**სამეგრელოს მთავარი ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „სახ. გაზ.“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

**„ნაკადული“**

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად **საბავშვო უნივერსიტეტი** (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის). 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი»—ზღაპარი ევალდისა; 2. »მარჯნები».—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი“—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ანბანი კუბიკებზე.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში.** „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთ ქარვასლაში).

# კატალოგი

**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიის. № 3.**

I

სასულიერო შინაარსის წიგნები.

1. იოსელიანი გ. საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა, სურათებით, ტფ. 1909 წ. 40 კ.
2. მისივე ლოცვანი ტფ. 1910 წ. 20 „
3. ძველი ათქმა, ხუთი წიგნი მოსესი ტფ. 1900 წ. . . . . 50 „
4. ფსალმუნი. ტფ. 1901 წ. . . 10 „
5. ახალი ათქმა. სახარება. საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთანი. ტფ. 1879 წ. . 40 „
6. სახარება.

II

მოთხრობები, ლექსები, პიესები.

7. აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული. ტფ. 1908 წ. . . . 40 „
8. ანდრეევი ლ. ადამიანის ცხოვრება. ტფ. 1907 წ. . . . 50 „
9. ბარათაშვილი ნ. ლექსები, „სორაპნის“ გამოცემა. ტფ. 1910 წ. 10 „
10. გვარამაძე ივ. თამრო ჰარამხანაშია. გურიის ცხოვრებიდან. ახალციხ. 1906 წ. . . . . . 20 „
11. გლახაშვილი ს. წყურვილი. დრამა 3 მოქ. 4 სურ. ტფ. 1910 წ. 30 „
12. გიგაური. ლექსები. ქუთ. 1908 წ. 20 „
13. გიოტე, ფაუსტი. დრამატ. პოემა. ნათ. პ. მირიანიშვილისა. ტფ. 1909 წ. . . . . . 1 მ. 25 „
14. დუტუ-მეგრელი. წიგნი I ლექსები. ტფ. 1909 წ. . . . . 70 „
15. ერისთავი გ. გაყრა, 4 მოქ. კომედია. გამოც. „სორაპნისა“. . 5 „
16. ვაჟაფშაველა. ცრემლები. 1909 წ. 50 „
17. ზღაპრები II, ქალთა წრის გამოცემა. . . . . . 1 მ. 30 „
18. თუთაევი ალ. ქართული პიესები ტფ. 1909 წ. . . . . . 20 „
19. იერეთელი ა. დამარცხებულნი. დრამა 5 მ. ტფ. 1908 წ. . . 30 „
20. მისივე ქრისტინე, დრ. 5 მოქმ. ტფ. 1909 წ. . . . . . 20 „
21. Избранныя стихотворенія А. Церетели, съ предисловіемъ А. Хаханова, Моск, 1908 г. . . . 20
22. მოლიერი. დრამატ. თხზულებანი. გამ. „სორაპნ-ის“. ტფ. 1909 წ. 50 „
23. ნიშად. კრებული. ტფ. 1909 წ. 15 „
24. ნათლუღელი შ. შრომის დროს ამონაკვნესი. ლექსები. ტფ. 1908 წ. . . . . . . . 3 „
25. ნინოშვილი ე. პალიასტომის ტბა. ტფ. 1909 წ. . . . . . 5 „
26. მისივე ჩვენი ქვეყნის რაინდი. ტფ. 1909 წ. . . . . . 20 „
27. მისივე გოგია უიშვილი. ტფ. 1909 წ. . . . . . . . 5 „

◀ სამეურნეო ჟურნალი ▶

**მოსავალი**

**წელიწადი მეორე**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“

**დაბა ხონში**

**ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების ხონის განყოფილების**

**წიგნის მაღაზიაში**

იყიდება ქართულ-რუსული სახელმძღვანელოები, ახალი წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და საკანცელარიო ნივთები. მაღაზია საკომისიოდ ღებულობს წიგნებს და კისრულობს გამომცემელთა აგენტობას.

მაღაზიას უკვე დაკვეთილი აქვს სამოსწავლო წლისათვის ს ჭირო წიგნები და რვეულები და ამ მხრივ ადვილად შეუძლია ხონის რაიონის დაკმაყოფილება.


# მატარებლების მიმოსვლა

**18 აპრილიდან 1910 წ.**

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

| | |
|---|---|
| **ბათუმისკენ:** | N 1, სწრ.—საღ. 11 ს. 28 წ. |
| | N 3, საფ-ს.—დღ. 1 ს. 24 წ. |
| | N 5, სამგზ.—საღ. 7 ს. 31 წ. |
| **ბაქოსკენ:** | N 2, სწრაფ—დილ. 8 ს. 15 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. 10 ს. 4 წ. |
| | N 12. სამგზ.—დღ. 2 ს. 38 წ. |
| **ბორჯომისკენ:** | სამგზ.—დილ. 8 ს. 28 წ. |
| | სამგზავ—დღ. 3 ს. 36 წ. |
| **ჯულფისკენ:** | საფოსტო—ღამ. 12 ს. 22 წ. |
| **ერევნისკენ:** | სამგზავრო—დღ. 4 ს. 15 წ. |

**ტფილისში მოდის**

| | |
|---|---|
| **ბათუმიდან:** | N 2, სწრ.—დილ. 7 ს. 25 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. 9 ს. 4 წ. |
| | N 6, სამგზ.—დილ. 11 ს. 4 წ. |
| **ბაქოდან:** | N 1, სწრაფ.—საღამ. 10 ს. 36 წ. |
| | N 3, საფოს.—დღ. 12 ს. 24 წ. |
| | N 1. სამგზ.—დილ. 6 ს. 58 წ. |
| **ბორჯომიდან:** | სამგზ.—დილ. 6 ს. 28 წ. |
| | სამგზ.—საღამ. 8 ს. 08 წ. |
| **ჯულფიდან:** | საფოსტ.—დილ. 6 ს. 8 წ. |
| **ერევნიდან:** | სამგზავ.—დღის. 6 ს. 33 წ. |


კომერციულ ცოდნათა გამავრცელებელ ტფილისის საზოგადოების

**ახალ 8 კლ. კომერციულ სასწავლებელში**

დანიშნულია **მისაღები ეგზამენები** მოსამზადებელ, 1 და 2 კლასებში 28 აგვისტოს 1, 2 და 3 სექტემბერს; საანბანო განყოფილებაში მიიღება **უეგზამენოდ. დამატებითი გამოცდები** მეხუთე კლასში მოხდება 31 აგვისტოს.

სწავლა დაიწყობა 6 სექტემბერს. თხოვნები მიიღება დილის 9—12 საათამდე. მიხეილის პროსპ. 16—18, ხოლო 20 აგვისტოდან, ელისაბედის ქ. 79, კიროჩნის ქუჩის კუთხის იქით. (5—გაყ.—1)

ივანე ზაქარიას ძე ტერ-სტეფანოვის

**უფლებიან სავაჭრო სკოლაში და საბუხჰალტერო კურსებზე**

მ ი ღ ე ბ ა მოხდება 25, 26, 27 აგვისტოს და სწავლის დაწყებამდე, თუ **თავისუფალი ადგილი** იქნება.

თხოვნები მიიღება დილის 9—12 საათამდე. სწავლა დაიწყება—სავაჭრო სკოლაში 6 სექტემბერს, ხოლო კურსებზე 15 სექტემბერს. მიხეილის ქ. N 16—18. (6—გაყ.—1)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

**საბუხჰალტერო კურსები ნ. ვ. აბრამიანისა,**

ავტორი „ვაჭრობ ფაბრ. და ნავთის წარ. ბუხჰალტერიის სახელმძღვანელოსი“, რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტრის სასწავლო განყოფილებ., როგორც სახელმძღვანელო კომერციულ სასწავლებელთათვის,

✦ **ასწავლიან და ამზადებენ ორივე სქესის პირთ.** ✦

უკანასკნელ გაუმჯობესებულ მეთოდით ოთხი თვის განმავლობაში სხვა და სხვა სისტემის ბუხჰალტერიას და საკომერციო სპეციალურ საგნებს. გარდა არსებულ საგანთა სწავლებისა, კურსებზე ასწავლიან უცხო ენებს, სტენოგრაფიას და რემინგტონს (სავალდებულო არაა).

**კურსების მასწავლებლად უმაღლეს სასწავლებელში კურსდამთავრებულნი და თავიანთ საგნის სპეციალისტები არიან.**

სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს 1910 წ. პერიოდულად ყოველ 4 თვეში ნასადილევს თხოვნები მიიღება ყოველ დღე საღამოს 3—7 საათ. და დილის 9—12 საათამდე. კურსის შესრულების შემდეგ ეძლევა ატესტატი ფინანსთა მინისტრის ნებართვით.

ამას გარდა კურსებთან ცალკე გახსნილია საგანგებო რუსულ ენისა და არითმეტიკის მოსამზადებელი კურსები ნაკლებად მომზადებულთათვის. წესდება და პროგრამები ეგზავნება მსურველს უფასოდ. მსურველმა უნდა მიმართოს წერილობით თუ პირადად კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, N 22, ტელეფონი 714.

ზემოდ დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიებში. ვინც პირდაპირ ავტორისაგან გამოიწერს—გასაგზავნ ფულს არ იხდის. ფასი თითო ცალისა 3 მ. 50 კ. (0—ღ—2)




რედაქტორ-გამომცემელი იროდიონ ხონდულაშვილი